ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 632

ქალაქი ქუთაისი 22 ივნისი 2012 წელი

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების
მოსაკრებლის შ ე ს ა ხ ე ბ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე და 61–ე მუხლების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. საჯარო ინფორმაციის გაცემისას, ასლის გადაღებისათვის, განისაზღვროს მოსაკრებელი შემდეგი ოდენობით:

1. A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი ერთი გვერდი – 0.05 ლარი;
2. ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ერთი გვერდი – 0.10 ლარი;
3. კომპაქტურ დისკზე ჩაწერა – 1 დისკი – 2.65 ლარი;
4. დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერა –1 დისკეტა – 1.30 ლარი;
5. ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის ვიდეოკასეტაზე 1 საათი – 2.75 ლარი;
6. ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის აუდიოკასეტაზე 1 საათი – 0.50 ლარი.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადამხდელები არიან საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირები. აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანო, თუ მის მიერ სამართლებრივი დახმარების ფარგლებში მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა აღემატება 50 ლარს.

მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არ გადაიხდევნება:

1. ინფორმაციის მომთხოვნის დისკეტაზე ან კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერისას;

2. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფოსტით გაგზავნისას;

3. ფიზიკური პირებისათვის საჯარო დაწესებულებაში მათზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას.

მუხლი 4. წლის განმავლობაში მოსაკრებლის გადახდის გარეშე, გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობა განისაზღვროს 15 ერთეულით .

მუხლი 5. საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

მუხლი 6. საჯარო ინფორმაციის მიმღები პირის მიერ ასლის გადაღების მოსაკრებელი გადაიხდება საბანკო ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტებით: მიმღების ანგარიში ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი, სახელმწიფო ხაზინა, მიმღები ბანკის კოდი N300183173.

მუხლი 7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის საკრებულოს აპარატის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისას, ასლის გადაღებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2007 წლის 11 ოქტომბრის N207 ბრძანება.

მუხლი 8. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ი.ჟორჟოლიანმა.

მუხლი 9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა N11/.

მუხლი 10. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ა.ხვადაგიანი